№ 32. თებერვლის 12, სამშაბათი. 1866—1885 თებერვლის 12, სამშაბათი. № 32

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე ცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] დი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის [illegible]ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

გამოვიდა და 1884 წ. ხელის-მომწერლებს ურიგდება უკანასკნელი წიგნი ჟურნალი

„ნობათი“

მიიღება 1885 წ. ხელის-მოწერა. ფასი 4 მ. (2–1)

იმ ბალიდამ, რომელიც გამართული იყო კრუჟოკში თებერვლის 4 ფრანცუზების საქველ-მოქმედო საზოგადოებისაგან, შემოვიდა წმინდად 1438 მან. 86 კაპ. ამის ნახევარი 719 მან. 43 კაპ. გადაეცა კრუჟოკის უფროსებს (სტარშინებს) თბილისის ღარიბებისათვის.

## მთიელთ საბჭოს უფლების გავრცელება

თბილისი, თებერვლის 12-ს

კავკასიის უთავრესს მთების იქით მცხოვრებ მთის ხალხთა-მაჰმადიანთ, როგორც უწინ საქართველოშიაც იყო,—თავიანთ საბჭო აქვთ დაწესებული, რომელიც ადათით განარჩევს ხოლმე მთიელთა შორის საჩივარს სამოქალაქო და სისხლის სამართლისას. საბჭო შესდგება თვით ხალხისაგან ამორჩეულ პირთაგან და ნება აქვს გაარჩიოს საქმე მთიელისა და რუსის შორისაც, თუ ეს უკანასკნელი ან თითონ ისურვებს ამას, ან თანხმობას გამოაცხადებს. თავმჯდომარეობს ხოლმე ამ საბჭოში მაზრის (ოკრუგის) უფროსი. უწინ ამ საბჭოს ბევრად უფრო მეტი უფლება ჰქონდა და თითქმის მარტო იგი განაგებდა ყოველ გვარ მაზრის სადავო საქმეს. მაგრამ მასუკან, საზოგადო სასამართლოების შემოღების შემდეგ, მთიელთა საბჭოს ასპარეზი ვიწროდ შემოიფარგლა და იგი დაემსგავსა თავის უფლებით ჩვენებურ სასოფლო სასამართლოს.

თქმა არ უნდა, რომ ესეთი შევიწროება ამ ბუნებრივს ნიადაგზედ აღმოცენებული სასამართლოსი ბევრად შეავიწროებდა მთის ხალხს და გამოიწვევდა მრავალს იმისთანა გადაწყვეტილებას საზოგადო სამსჯავროსას, რომელიც (გადაწყვეტილება) თუმცა კანონის ძალით შეიძლება სრულიად საფუძვლიანი იყოს, მაგრამ ადათისა კი წინააღმდეგი. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდ ქურდობა იარაღით და უიარაღოდ. საზოგადო კანონის ძალით ქურდობა უიარაღოდ მცირედ ისჯება და იარაღით კი ფრიად სასტიკად. მაშასადამე, თუ ხანჯალ-შემორტყმული კაცი უბრალო ქურდობაზედ დაიჭირეს, მას ისე დასჯიან, როგორც შეიარაღებულს და ციმბირი ძნელად თუ ასცდება. მაგრამ, თუ მივხედავთ მთიელთა ჩვეულებას—ხანჯალს ისე უნდა შევხედოთ, როგორც ჩვეულებრივს სამკაულს, როგორც ქამარს, მასრებს და სხვ., ურომლოდაც მთის კაცი შინიდამ კარში არ გავა. მაშასადამე ხანჯალ-შემორტყმული სრულიად იმგვარადვე უნდა დაისაჯოს, როგორც უხანჯლო და ასეც დასჯიდა მთიელთ საბჭო, თუ ხალხის ჩვეულებას მიიღებდა იგი სახეში, რაშიაც ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

იუსტიციის მინისტრს შეუდგენია ამ საბჭოთა შესახებ პროექტი, რომელსაც მთის ხალხი სიამოვნებით მიეგებება. პროექტი ამ ჟამად სახელმწიფო რჩევაშია წარდგენილი და ის აზრი აქვს, რომ უფლება მთიელთ საბჭოსი გავრცელდეს და გაფართოვდეს ორივ მხრივ, როგორც სამოქალაქო სამართლის მხრივ, ისე სისხლის სამართლისა. მინისტრის აზრით საბჭოს უნდა მიეცეს უფლება გაარჩიოს ზოგიერთა საქმეები, რომელთ სადავო სუმა 2000 მანათამდე ადის; აგრეთვე საქმე მემკვიდრეობაზედ, თუნდა იგი უძრავ მამულს შეეხებოდეს. სისხლის სამართლით უნდა საბჭომ განსაჯოს დაჭრა კაცისა, დამახინჯება და სიკვდილი ჩხუბის დროს, შეიარაღებულთაგან ქურდობა კლიტის გატეხით და ბოლოს ქალების მოტაცების საქმეც.

ეჭვი არ არის, რომ ესეთი ცვლილება მეტად სასარგებლოდ იმოქმედებს საქმის მსწრაფლად წარმოებაზე და უმთავრეს საბუთადაც შეიქმნება სამართლიანის გადაწყვეტილებისა. მხოლოდ ეს რეფორმა უფრო ვრცელი და სამართლიანი იქნებოდა, თუ მაზრის უფროსებს ნაკლები უფლება მიეცემოდათ საბჭოში, რადგან უიმათოდ ხალხი უფრო თავისუფლად ილაპარაკებდა, თავისუფლად განსჯიდა და თავისუფლად გამოაცხადებდა თავის უტყუარს გადაწყვეტილებას.

## შინაური ქრონიკა

— თბილისში მოსულა ტელეგრამა, რომელიც იუწყება, რომ ორი კვირის განმავლობაში ყველა სომხის სკოლები, გარდა სასულიერო სემინარიისა დირექციის სრულს გამგებლობაში უნდა გადავიდნენ.

— თებერვლის 9-ს მოვიდა თბილისში სტამბოლიდამ საგანგებო ელჩი სპარსეთისა ოსმალეთის მთავრობის წინაშე მიუნიულ-მიულქი, რომელსაც თან ახლდნენ სპარსეთის ღესპანები ეგვიპტისა, ტრაპიზონისა და თბილისისა. ვოგზალზედ მას მიეგებნენ მრავალნი თბილისში მცხოვრებნი სპარსეთის ქვეშევრდომნი, რომელთაც მიუნიულ-მიულქი თავაზიანად მიესალმა. მიუნიულ-მიულქი თვრამეტი წელიწადი იყო სპარსეთის ელჩად ოსმალეთში და ეხლა სპარსეთში ბრუნდება საცხოვრებლად.

— ჩვენ მოგვივიდა ამ დღეებში თბილისში გამოცემული ფრანცუზული წიგნი „ვეფხის-ტყაოსანი“, თხზულება აკას ბორენისა. წიგნი მშვენიერს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და კარგადაც გამოცემული; ღირს 1 მან. და 50 კაპ.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. ვლ. სუმბათაშვილის დამცველად პალატაში, სადაც საქმის გადატანას აპირობენ, მოწვეულ იქმნება გამოჩენილი მოსკოველი ადვოკატი პლევაკო.

— კვირას, თებერვლის 10-ს, დილით, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, აკურთხეს ვერის ხიდი. აუარებელი ხალხი დაესწრო ამ კურთხევაზედ, თუმცა ცერემონია დიდი არა ყოფილა-რა. კურთხევის წინად მღ. მღვიევმა წაიკითხა ცოტა მოგრძო სიტყვა „ხიდის მნიშვნელობაზედ განათლებისათვის“ და შემდეგ პარაკლისი გადიხადა. პარაკლისის შემდეგ ქალაქის თავმა გასჭრა ხიდის-ყურზედ გაბმული ლენტი და ხალხმა თავისუფლად სიარული დაიწყო. პირველი ეკიპაჟი, რომელმაც ამ ხიდზედ გაიარა, იყო მთავარ-მმართებლის თანაშემწის ბრ. შერემეტიევისა. ამ დღეს ეკიპაჟებს ნება ჰქონდათ უფასოდ სიარულისა და მეორე დღიდამ კი თითო შაური გამოერთმევათ. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ წელიწადში 12,000 მანათი შემოვა ამ ხიდიდამ. კურთხევის შემდეგ რამდენიმე პირნი იყვნენ საუზმეზედ მიწვეულნი ხიდის ორივ ყურის პატრონებისაგან.

— კვირა საღამოს გამართული იყო დანიშნულებისამებრ კონცერტი თეატრში პირველი კლასიკური გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთათვის, რომელნიც წელს კურსსათავებენ და შეძლება კი არა აქვთ სწავლის გაგრძელებისა. თეატრი ხალხით სავსე იყო და კონცერტში მონაწილეობის მიმღებთ ყველას შეხვდათ ცოტად თუ ბევრად ტაში მეტადრე გიმნაზიელებისაგან, რომელნიც თითქმის მესამედს შეადგენდენ მთელის პუბლიკისას.

— «დროების» მე-12 №-ში იყო პატარა შენიშვნა იმაზედ, რომ ორი ქართული წარმოდგენა ზედი-ზედ იყო გამართული დ. ოჩამჩირეში სკოლის სასარგებლოდ, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. ამ საგნის შესახებ ერთი პირი გვწერს, რომ პირველ წარმოდგენაზედ საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო, მაგრამ რადგან თეატრის მოთავეთ ანგარიში არ წარმოგვიდგინეს შემოსავალ-გასავლისა, ამიტომ მეორე წარმოდგენას უგულოდ მოეკიდეთო.

სასიამოვნო იქნებოდა, რომ როგორც ოჩამჩირის წარმოდგენების მოთავენი, ისე ისინი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში მართვენ საქველ მოქმედო განზრახვით წარმოდგენებს, მოკლე ანგარიშს ბეჭდავდენ ხოლმე გაზეთებში და ამით საყვედურებს აცილებდენ.

— ქრონიკაში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ადგილობრივი კამანდის უფროსმა დ. ქეირილაში ვიღაც ხრონევიჩმა უწყალოდ გაალახვინა თავის სალდათებს ერთი იქაური გლეხი ფუთკარაძეო; მიზეზი ამისი ის იყო, რომ ფუთკარაძის ყანა გაეოხრებინათ ხრონევიჩის ღორებს და გულ-მოსულ ფუთკარაძეს ერთი გოჭი ხრონევიჩისა შემოჰკლომოდა. ამ თვის 6-ს იყო დანიშნული გარჩევა ამ საქმისა მომრიგებელ სასამართლოში. საყურადღებო ის არის, რომ ბრალდებულ-მომჩივართათვის როლები შეუცვლიათ: იმის მაგივრად რომ ფუთკარაძეს ეჩივლა ცემისა და უკანონოდ დატუსაღებისათვის და ხრონევიჩი პასუხის გებაში მიეცათ, პირ-იქით ხრონევიჩს დაუბრალებია გოჭის ქურდობა ფუთკარაძისთვის, რომელიც, ძალიან შეძლებულ კაცად ითვლება და პატივცემულადაც მთელ სოფელში. ამ საყურადღებო საქმის ამბავი ამ დღეებში მოგვივა და ჩვენს მკითხველებსაც განვუზიარებთ.

— აფხაზეთიდამ გვწერენ: სოხუმის მაზრის უფროსის არაკინის დროს ყოველ გადმოსახლებულს, რა ერისაც უნდა ყოფილიყო იგი, აძლევდენ 15 დესიატინა მიწას საკუთრებად, ულელ ხარს და სხვა საჭირო შემწეობას. ეხლა კი, თუმცა სხვებს ესეთივე შემწეობა ეძლევათ, მაგრამ მეგრელებსა და იმერლებს თხუთმეტის დესიატინის მაგივრად მარტო ხუთ-ხუთი დესიატინა ურიგდებათ...

— ოზურგეთიდან მოგვივიდა ერთის სარწმუნო პირისაგან შემდეგი სამწუხარო ამბავი: „იანვრის 5 ს ჩვენი პატარა ქალაქის მოედანზე მოხდა საზიზღარი ბარბაროსობა: სასეირნოდ გამოსულს პატივცემულს მომრიგებელ მოსამართლეს პ. ბ. უკანიდან მიეპარა და ბზის კეტი დაჰკრა თავში მისმა ხელ-ქვეითმა მ. მიზეზი ამ საზიზღარის ბარბაროსობისა ყოფილა თა-

ნამდებობითი განწყობილება ბ—ნისა და მ—ს შორის. ეს უკანასკნელი თურმე ხშირად, ნება-რთვის აულებლად, დამგზავრობდა სხვა-და-სხვა ქალაქებში, რის გამო ბ—ნი უცხადებდა მას თავის უკმაყოფილებას. ბოლოს დროს მ—ი დისციპლინარულად დასჯილ იქმნა უმაღლესის ინსტანციისაგან თანამდებობის გულ-აცრუებით ასრულებისათვის. ამ დასჯის მიზეზად მან თავის თავი კი არა, ბ. ჩასთვალა, გადაეკიდა მტრად, და თავის მტრობა მიპარვითა და ზურგს კეტის დაკვრით დაასრულა. მთელი აქაური საზოგადოება აღელვებულია ამ საზიზღარი ბარბაროსული საქციელით, მით უფრო რომ, რამდენადაც მისგან პატივცემული ბატ. ბ., იმდენად შეძულებულია თავის ცუდი ხასიათისა გამო ბოროტ-მოქმედი მ. რასაკვირველია, რომ მართებლობა მკაცრს ყურადღებას მიაქცევს ეხლავ ამ საზიზღარ ბარბაროსობას და ბოროტ-მოქმედს ღირსეულ სასჯელს მიუსჯის“.

═ ჩვენ მივიღეთ მეორე №-რი «მოსტოკისა», რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო (ჯერ დაუსრულებელი) წერილი სათაურით: «ქართული ეკლესიის ისტორიისათვის. ქართულის საპატრიარქოს შეერთება რუსეთის ეკლესიასთან 1811 და 1814 წ. ქართველებს ამ ჟამად რა სჭირთ?»

═ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უთხოვნია სახალხო სკოლებისა და საოსტატო სემინარიების დირექტორებისათვის, რომ წინადადება მისცენ მათ თავიანთ ხელ-ქვეით მასწავლებლებს,— შეჰკრიბონ კავკასიის ხალხთა შორის ცნობები სათამაშოებზე, საბავშო თამაშობაზე და გართობაზე. ეს შეკრებილი მასალები ჯერ გამოცემულს მასალებში დაიბეჭდება და მერე გადაეცემა მოსკოვის პოლიტეხნიკურს მუზეუმში ფიზიკური აღზრდის დირექტორს დოქტ. პოკროვსკის. პოკროვსკი შესდგომია ყველა ხალხების სათამაშოებისა, თამაშობათა და გართობათა აღწერას („კავკაზი“).

═ პოლშის სატახტო ქ. ვარშავის გაზეთების სიტყვით პოლშაში ძალიან ვრცელდება ბოლოს დროს კავკასიის ღვინოები, მაგრამ სწუხან, რომ იქაურ ვაჭრებს დაუწყვიათ ამ ღვინოების გვარი სასმელების კეთება, რომელნიც სახელს უფუჭებენ კავკასიის ღვინოებს („ნოვ. ობოზ.“).

## „დროების“ კორესპონდენციები.

ს. ქარდანეხი. თებერვლის 6-ს. საკვირველი ხასიათი გვაქვს ჩვენ, ქართველებს. ვინც-კი მოვა ჩვენში შორეული ქართველური გულ-გახსნილობით და სიხარულით უნდა მივიღოთ და იმას კი არ ვუკვირდებით, თუ რა მოაქვს თან ამ უცხო კაცის მოსვლას ან ჩასახლებას. იქნება ეს იმითი აიხსნებოდეს, რომ მამა-პაპიდგანვე დაჩემებული გვაქვს მასპინძლობა და სტუმრის მოყვარეობა...

ქარდანახელებსაც წინდაუხედავი სიხარული შეგვიდგა, როდესაც გრ. შ—ევმა ჩვენს სოფელში აფხაზისეული მამული შეისყიდა.

ახლა, გრ. შ—ევს, როგორც გავიგეთ განძრახვა აქვს შეისყიდოს ქარდანეხში ვენახები და სხვა მამული; ამასთან ფასს არ უყურებს: მომეტებულს თუ არა, ნაკლებს არ მისცემს მამულის პატრონს ღირებულს ფასზე.

დღეს ამ ხმით წათამამებულნი ბევრნი ცდილობენ თავიანთ მამული მას მიჰყიდონ. ბევრს მებატონეებს, უფრო წვრილ-ფეხობას, რასაკვირველია, კიდევაც ჰქონიათ მოლაპარაკება ამის შესახებ შ—ის უფროს მოურავთან, დაუზომინებით კიდეც ვენახები და ეხლა ფასზედ-ღაა საქმე მიმდგარი.

მორიგებით მალე მორიგდებიან, მაგრამ არ შეგვიძლიან არ გავაფთხილოთ წინადვე ჩვენი მებატონეები. გრ...

იქნება ჩვენი მებატონეები იმას ჰფიქრობდენ, რომ: „დღეის კვერცხი, ხვალის ქათამს გვირჩევნია“-ო, მაგრამ ტყუილი ფიქრია: მამულებში აღებული ფული ისე მალე გამოელევათ, როგორც მათ მამა-პაპას „პრიკაზში“ აღებული ფულები და მამული კი, ნუ დაივიწყებენ, საშვილიშვილო განძია.

## სამართალი.

საქმე თ. ვლადიმერ სუმბათაშვილისა, რომელმაც რევოლვერი ესროლა თავ. ივანე კონსტანტინეს ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის.

თბილისის ოლქის სასამართლო.

სხდომა თებერვლის 8-ს, საღამოთი.

(დასასრული *)

ამ სხდომის გახსნისათანავე წაიკითხეს: ა) ივ. მუხრან-ბატონის ჩვენება. „როცა სუმბათაშვილმა ორჯერ მესროლა რევოლვერი, მე მივვარდი, წავაქციე და გამოვბრუნდიო, მაგრამ ვლად. სუმბათაშვილი წამოხტა და კვლავ მესროლა ორჯელაო, ამბობს თ. ივ. მუხრან-ბატონის ჩვენება. ვლად. სუმბათაშვილს რამდენჯერმე უთხოვნია ჩემთვის—ჩემი მამულები შეისყიდეო, არა ერთ გზის ვყოფილვართ მე და იგი ჩემს კაბინეტში მარტოდ-მარტო, და თავი ყოველთვის მართებულად სჭერია ხოლმე. არავითარი უსიამოვნობა ბრალდებულთან არა მქონია-რა. ბრალდებულის ყოფა-ქცევას მე ვაწერ სხვათა შთაგონებას. ბ) სპეციალისტ-ოფიცერთაგან რევოლვერის შემოწმება. შემომწმებელთა აზრით რევოლვერი ყოვლად უვარგისია. ლულა ერთობ ფართოა ტყვიებთან შედარებით და ლარებიც უსწორ-მასწორონი აქვს. კაცის მოკვლა ამ რევოლვერით სრულიად შეუძლებელია, თუ ტყვია თვალში არ მოხვდა. გ) საექიმო შემოწმება ბრალდებულისა. დ) საავადმყოფოში შემოწმება ბრალდებულისა და ე) სასამართლოს იმ დერეფნის შემოწმება, საცა მოხდა ეს ბოროტ-მოქმედება. ექვსივე ტყვია იატაკზე დაყრილი ენახათ.

ექსპერტი ჰავლოვსკი რამდენიმე კითხვას აძლევს ბრალდებულს. ეს უკანასკნელი იმეორებს მასვე, რაც წინად სთქვა, მხოლოდ სხვა სიტყვებით.

პროკურორის თხოვნით ექსპერტებს ცალ-ცალკე ჩამოართვეს ჩვენება ბრალდებულის შესახებ. ორი ექსპერტი—ორბელი და ზაზოვი გავიდენ ცალკე ოთახში.

სასამართლოს წინ წამოდგა შუა-ტანის, ჩასკვნილი, ლამაზი სახისა, ჯერ კიდევ ახალგაზდა მეცნიერი, თბილისის განთქმული პსიხიატრი ჰავლოვსკი. მთელი დამსწრე საზოგადოება სმენად იქცა, რადგან იცის რომ ექსპერტთა ჩვენებას დიდი, თითქმის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში, და ყველა ექსპერტებისაზე უფრო მნიშვნელობა დოქტ. პავლოვსკის ჩვენებას ექნებოდა.

მე ვერ ვამჩნევო—სთქვა მან—რომ ბრალდებული შეპყრობილი იყოს პერიოდულის პსიხიურის ტანჯვით, მაგრამ, ჩემის აზრით, როცა ბოროტებას ჩადიოდა იგი, იყო აფექტის გავლენის ქვეშ. ეს აფექტი საღ კაცსაც ემართება ხოლმე და ავადმყოფსაც. განსხვავება იმაშია, რომ საღ კაცს შემკავებელი ნების ძალაცა აქვს, (რომელიც ასუსტებს აფექტის ძალს) და ავადმყოფს-კი არა. ავადმყოფურს ნიადაგზე აღმოცენებული და თავის მკვებავი აფექტი უფრო თვალ-საჩინოდ გამოისახება ხოლმე, ვიდრე აფექტი საღი კაცისა. ჩემის აზრით ის აფექტი, რომელიც ამოქმედებდა ბრალდებულს თ. ვლად. სუმბათაშვილს პატოლოგიური ხასიათისა არის. ამ აზრს შემდეგს საფუძვლებზე ვამყარებ: საქმიდან სჩანს, რომ ბრალდებულის დედა, დეიდა, ბიძა და პაპაც—ყველანი სულიერნი ავადმყოფნი ყოფილან. მეცნიერებამ დიდი ხანია რაც კანონად აღიარა, რომ სნეული წინაპრები სნეულსავე შთამომავლობას ჰბადავენ. სამგვარად იჩენს თავს ეს მემკვიდრეობითი კანონი: ა) წინაპარნი ან პირ-და-პირ გადასცემენ თავიანთ სნეულობათა, ბ) ან შეცვლილის სახით გადადიან ეს სნეულებანი შთამომავლობაზე და გ) ან ბოლოს დროებში ეწვევა შთამომავლობას ეს სნეულება. უკანასკნელს შემთხვევაში შთამომავლობა სრულიად საღად ეჩვენება კაცს, მაგრამ სნეულებათა დასაბამი, ნასახი და ფესვები თვალთათვის შეუმჩნევლად, იდუმალ ჰბუდობენ მისს არსებაში და უეცრად იჩენენ თავს სხვა-და-სხვა სამწუხარო და მტანჯავ გარემოების დროს. მისი (შთამომავლობის) მოსაზრების ლოლიკური მხარე სრულიადაც არ არის დაზიანებული; შთამომავლობის წევრნი ხშირად ჭკვიანნი არიან, ყოველ მხრივ პატიოსანნი და არა იშვიათად დიდი ნიჭიერნიც *). ამისთანა ავადმყოფურს ნიადაგზე აღმოცენებული და აღზრდილი აფექტი უსათუოდ სნეულებად უნდა ჩაითვალოს. ამ სნეულების ძლიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძლიერია მემკვიდრეობითი განმზადება (предрасположеніе) სნეულების მიღებისათვის. ძალა-კი ამ მემკვიდრეობითი განმზადებისა პირ-და-პირ გამომდინარეობს იქიდან, საიდანაც შთამომავლობა იღებს ამ უბედურს მემკვიდრეობას. მამა უფრო სუსტად გადასცემს ხოლმე ხსენებულს მემკვიდრეობას თავის შვილს და დედა-კი უფრო მეტის ძლიერებით. თუ დედისაგან არის გადაცემული ეს განმზადება, მაშინ შვილი ძლიერ განმზადებულად ითვლება სენისათვის. ამ უკანასკნელს რიცხვს უნდა მიეწეროს ბრალდებული. თ. ვლად. სუმბათაშვილს არ ახსოვს უალრესნი გარემოებანი, რომელნიც დაერთნენ მისს ბოროტ-მოქმედებას. არ ახსოვს, რომ სტოროჟი ეტაკა და ხელები გაუკავა, არ ახსოვს, რომ მუხრან-ბატონმა დასცა იგი (ბრალდებული) იატაკზე. ეს პირ-და-პირ ამტკიცებს, რომ თ. სუმბათაშვილი ბოროტ-მოქმედების დროს პატალოგიური (ავადმყოფური) აფექტის გავლენის ქვეშ იყო. საღი კაცი რომ რაიმე ამაღელვებელს შთაბეჭდილებას მიიღებს, რაც დრო გადის თან-და-თან უსუსტდება ხოლმე პირვანდელი შთაბეჭდილება და თან-და-თან ეკარგება ძალა მისს გავლენას. სრულიად ამის წინააღმდეგი ემართება სნეულს არსებას: რაც დრო გადის, თან-და-თან ძალა ემატება მისგან მიღებულს შთაბეჭდილებას, ამღელვარებს სნეულს არსებას მანამდე, ვიდრე ეს მღელვარება არ წარმოიხეთქს და რაიმე ბოროტებას არ მოახდენს. ბოროტების მოქმედების შემდეგ-კი უეცრად მოშმინდება. ესეც იმის დამამტკიცებელია, რომ ბოროტ-მოქმედი პატალოგიური აფექტის გავლენის ქვეშ არის. ყველაფერი ეს მარწმუნებს, რომ თავ. სუმბათაშვილი ბოროტ-მოქმედების დროს იყო პატალოგიურს (ავადმყოფურს) სულიერს მდგომარეობაში.

ესევე აზრი, თუმცა უფრო მოკლედ, წარმოსთქვეს ბრალდებულის სულიერს მდგომარეობაზე დანარჩენმა ორმა ექსპერტმაც.

ამის შემდეგ გაიმართა მოწინააღმდეგე მხარეთა ბაასი.

პროკურორის ამხანაგი სტალინსკი ამბობს: თუმცა ექსპერტებმა ერთხმად აღიარეს, რომ ბრალდებული მოქმედებდა პატოლოგიურის აფექტის გავლენის ქვეშაო, და მათ რომ დავერწმუნოთ, თ. სუმბათაშვილი არ უნდა

*) იხილე „დროება“ № 31.

*) აქ მეტი არ იქნება, მგონი, შევნიშნოთ, რომ ძმა ბრალდებულის თ. ა. სუმბათაშვილისა, რომელიც მოსკოვში სცხოვრებს და იქაურ საიმპერატორო თეატრის სცენის აქტიორია, ითვლება ნიჭიერ რუსის დრამატურგად.

დაისაჯოს ამ გვარს მდგომარეობაში მოხდენილ ბოროტებისათვის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მემკვიდრეობითი კანონის შესახებ მეცნიერებას ჯერ სრულიადაც არ წარმოუთქვამს თავისი დაბოლოვებითი სიტყვა, ბევრი მხარეები ამ მემკვიდრეობითი კანონისა ჯერ კიდევ ბნელნი არიან, მეცნიერების სხივს ჯერ ცხადად არ გამოურკვევია ისინი ჩვენთვის. მაშასადამე უფლება გვაქვს ეჭვის თვალით შევხედოთ ექსპერტების ჩვენებას. მე არ ვეთანხმები მათს დასკვნას. თ. სუმბათაშვილის საქციელს, ბოროტის-მოქმედების წინად, მისს მოხდენის დროს და მას შემდეგაც სრულიად არ ატყვია არავითარი ნიშანწყალი, რომელიც ჰმოწმობდეს მისი სულიერი არსების ავადმყოფურს (პატალოგიურს) მდგომარეობას. ამბობენ, მას დაავიწყდაო უალრესნი გარემოებანი, რომელნიც დაერთნენ მისს ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ გკითხავთ—განა იმისთანა კაცსაც, რომლის სალიანობაზე არავითარი ეჭვი არა გვაქვს, არ შეიძლება ესევე დაემართოს?

ბოლოს გამამტყუნებელმა მოიხსენა საქმის გარემოებანი და სთქვა: ესენი ამტკიცებენ, რომ თ. სუმბათაშვილმა სრულიად სალის გონებით და სასტიკის-ბოროტებით განიზრახა მუხრან-ბატონის სიკვდილიო, ყოველივე შესაძლებელი ღონის-ძიება იხმარა მისს ასასრულებლად, მაგრამ თუ ვერ მოახერხა, ეს მოხდა სრულიად მოულოდნელის შემთხვევებითაო. დასასრულს, პროკურორის ამხანაგმა თ. სუმბათაშვილის ბოროტ-მოქმედება შეუფარდა სასჯელთა ზედა წესდების მე 115 და მე 1454 მუხლებში ნაჩვენებ ბოროტ-მოქმედებას და თხოულობდა მისს დასჯას იმავე წესდების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ესე იგი ყოველივე ღირსებისა და უფლების აყრას და 8—10 წლამდის კატორღაში გაგზავნას.

დამცველი ივ. თხორჟევსკი. ამბობს: შემდეგ იმისა რაც პირუთვნელი მეცნიერების წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს აქ, არ შეიძლება არ დაერწმუნდეთ, რომ ბრალდებულს დედისაგან გადაცემული ჰქონდა ძლიერი სულიერი სნეულება, რომ ამ სულიერი სნეულებისაგან გამოწვეულის პატალოგიური აფფექტის ქვეშ იყო იგი, როდესაც გადასწყვიტა და რევოლვერი ესროლა მუხრან-ბატონს. ,,იგი მუხრან-ბატონი დაუსჯელი არისო; ვერც სასამართლო და ვერც საზოგადოება ვერაფერს გახდებიან მასთანაო'', ამბობს ჩემი მარწმუნებელი. განა ეს არ ამტკიცებს, რომ ის სულიერად სნეულია? განა ამისთანა შემცდარს აზრს, თუ არ სულიერად სნეული ადამიანი, დაიქონებს ვინმე ისე, როგორც თავ. სუმბათაშვილი?—მე მაკვირვებს ის, რომ ბ. პროკურორის ამხანაგი სამეცნიერო საგანში არ ერწმუნება მეცნიერებს და ლიტონის სიტყვებით, ასე თამამად ცდილობს მეცნიერული დასკვნის დარღვევას. არა, ბატონებო, იქ სადაც არის ასპარეზი მეცნიერებისა ჩვენ ან უნდა დავერწმუნოთ მეცნიერების კაცებს, ან თუ არა და თვითონვე მოვიყვანოთ საკუთარი ფაქტები მეცნიერებისა და მათზე დამყარებით დავამტკიცოთ ჩვენი რწმენანი. ბ-ნი პროკურორის ამხანაგი კი სულ სხვა რიგად იქცევა... მე, ბატონნო მსაჯულნო, მწამს მეცნიერება, ვემყარები მას, როგორც შეურყეველს ნიადაგს და ვამბობ: სუმბათაშვილმა თავისი დანაშაულობა ჩაიდინა პატოლოგიური აფფექტის გავლენის ქვეშ. თუ თქვენ გამოიტანთ გამამტყუნებელ განაჩენს, ის იქნება არა ჩემი მარწმუნებლის გამტყუნება არამედ მეცნიერების კაცებისა! თქვენ ბრძანდებით არა მხოლოდ ფორმალური მსაჯულნი, არამედ სალი ადამიანებიც; მაშასადამე არა გაქვსთ უფლება, რომ დასაჯოთ სნეული ადამიანი.

დასასრულ დამცველი თხოულობდა, რომ ეს საქმე შეუფარდონ სასჯელთა ზედა წესდების მე-96 მუხლს, ესე იგი დანაშაულად ნუ ჩაუთვლიან ჭკუიდან შერყევის დროს ჩადენილს მოქმედებას.

თავის უკანასკნელს სიტყვაში ბრალდებულმა სთქვა: მე ვეთანხმები პროკურორს, რომ როცა მუხრან-ბატონს რევოლვერს ვესროდი მოსაკლავად, სრულს ჭკუაზედ ვიყავი, და არ ვეთანხმები ჩემს დამცველს და ექსპერტების დასკვნასაც. მაგრამ არ ვეთანხმები პროკურორს იმაში, რომ ამბობს, ვითომც მე სასტიკის ბოროტებით გამიზრახოს მისი მოკვლა. სასტიკი ბოროტებით მოქმედება იმასა ჰქვია, როცა მომქმედი თავის მოქმედების შედეგად რაიმე სარგებლობას მოელის. მე კი კარგად ვიცოდი, რომ ამ საქმისაგან ვერავითარს სარგებლობას ვერ მივიღებდი. მე ვსთვლიდი Iვ. მუხრან-ბატონს მიზეზად ჩვენის ტანჯვა-ვაებისა, გალატაკებისა და ბოლოს— ჩემს შეურაცხმყოფელად. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ იმისთანა კაცი, როგორიც არის მუხრან-ბატონი, არ უნდა სცხოვრებდეს დედა - მიწის ზურგზე, და ვალდებულად ვსთვლიდი ჩემს თავს შური მეგო მისთვის, გამომესალმებია იგი წუთი სოფლისათვის.

ამით გათავდა მეორე სხდომა.

მესამე სხდომა, თებერვლის 10-ს დილის 12 საათზე გაიხსნა. მოსამართლენი, კითხვების დადგენის შემდეგ, გავიდნენ რჩევის ოთახში და როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან თ. Iვლ. სუმბათაშვილს 4 წლით კატორგა გადაუწყვიტეს და ყოველი ღირსებისა და უფლების ჩამოხდა...

ეს განაჩენი სასამართლოს დაუდგენია არა ერთხმად, არამედ ხმის უმრავლესობით. თავსმჯდომარე ბ-ნი I. ა. ბრონეცკი იმ აზრისა ყოფილა, რომ ექსპერტთა ჩვენების თანახმად ბრალდებული არ იქმნას დასჯილი მისგან მოხდენილ დანაშაულობისათვის და მიეცეს ნათესავებს მოსავლელად. თუ ნათესავნი არ მიიღებენ, მაშინ სულიერ ავადმყოფთა ლაზარეთში იქმნას შეყვანილიო.

ბრალდებულის დამცველს საქმე სასამართლო პალატაში გადააქვს.

ჯ.

# უცხოეთი

—

საფრანგეთი. როგორც აქ მოვიხსენეთ ,,დამშეულთა მიტინგი'', რომელიც თებერვლის 9-ს (იანვრის 28) უნდა მომხდარიყო, აღარ შესდგა, რაკი მთავრობამ წინადვე იცოდა ამბავი—სად, რა ჟამს და როგორ უნდა მოეხდინათ მანიფესტაცია. ნაშუადღევიდამ დაწყებული ოპერის მოედანზე შეიკრიბა სხვა-და-სხვა გვარი ჯარი და პოლიცია. ესენი ბევრი ეცადნენ, მაგრამ ხალხი მაინც აუარებელი შეგროვდა სალამოთი მოედანზე. ჯგუფ-ჯგუფად დანაწილებული ხალხი ზოგი გაჰყვიროდა, ზოგი ,,მარსელიეზას'' იმღეროდა. ბოლოს, როდესაც შეშინებულმა პატრონებმა მაღაზიის კეტვა დაიწყეს, ხალხმა ქვები დაუშინა ფანჯრის მინებს, ერთი წყობა ყავახანაში შეცვივდა და მილეწ-მოლეწა ყოველიფერი. მოედანზე ჟამსკასი და პალდეკ რუსო მოვიდნენ. არეულობა გაძლიერდა და მოედანზე გამოჩნდა ცხენოსანი ჯარი, რომელსაც კიჟინა დასცა გაავთრებულმა ხალხმა. მაშინ ჯარს ებძანა თოფების დატენა, ხალხი გაიფანტ-გამოიფანტა და 15 წამის შემდეგ ოპერის მოედანი-კი დაცალიერდა, მაგრამ ხალხი ეხლა პარიჟის სხვა-და-სხვა კუთხეებში შეგროვდა, სხვათა-შორის ბასტილიის მოედანზე, სადაც პოლიციამ დაატუსაღა 15 კაცი. საათის 9-ზე ორასამდე ანარქიელი შეიკრიბა, წითელის დროშის ქვეშ ტემპლის ქუჩაზე. აქ შეუცვივდნენ ერთს მეფურნეს, რომელსაც ლანძღვა-გინებით მოსთხოვეს პური. ამავე დროს ამდენივე რიცხვი ანარქიელებისა შეიკრიბა ლაფაეტის ქუჩაზე; ამათ მილეწეს მინები საიარაღო მაღაზიისა, შეცვივდნენ შიგ და მოიტაცეს რევოლვერები, თოფები, დანები და ყიჟინით: ,,გაუმარჯოს ანარქიას? გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას''! გაემართნენ სხვა ქუჩებისაკენ. სულ ამ დღეს დაატუსაღეს 50 კაცი.

ინგლისი. როდესაც (თებერვლის 1-ს) ლონდონში მისულა გორდონის მოკვლის ამბავი, არც ერთი გაზეთი არ დარწმუნებია მას. მხლაც თითქოს ისეთისავე ეჭვის თვალით უყურებენ ამ ამბავს ზოგი ამ გაზეთთაგანი. მხოლოდ გაზეთს „Daily News"-ს კი გასულს კვირაში შაბ-არშიაში დაუბეჭდია შემდეგი ცნობა: ,,საუბედუროდ ეხლა ეჭვს გარეშეა, რომ გორდონი მოკლულ იქმნა არაბებისაგან ხართუმის აღების დროს. ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომელთაც თავი დაუღწევიათ ხართუმიდამ, ამ ქალაქის აღების დროს, მოუთხრობენ, რომ გორდონი მოუკლავთ იმ დროს, როდესაც საკუთარი სახლიდამ გამოდიოდა, რომ შეკრიბა უკანასკნელად საწინააღმდეგოდ დარჩენილნი ერთგულნი მეომარნი. მაგრამ ინსურგენტები მოულოდნელად დაეცნენ თავს მათ და ერთიანად ამოჟლიტესო. არ შეიბრალეს არც ქალები და არც ბავშვებიო. ეს ამბავი მტკიცდება გენ. უილსონის გამოგზავნილ ცნობებითაც. როდესაც ეს გენერალი მიახლოვებია ხართუმს, არავითარი ნიშანი არ მიუციათ მისთვის ამ ქალაქიდამ, რომ მოდით, მოგვეშველენით და აღარც ეგვიპტეს დროშები მოჩანდენო. გორდონი რომ ცოცხალი ყოფილიყო ამ ჟამად, უეჭველია, რამ ნიშანს მისცემდა მიახლოვებულს ინგლისის რაზმს, რომელსაც გენ. უილსონი უფროსობდა. ღალატს აბრალებენ კომენდანტის თანაშემწეს ფაშა აბდულ-ახმედს, რომელმაც გაუღო მტერს კარები და მთელი ციხე მოულოდნელად მისცა ხელში.»

ისპანია. არეულობა მადრიდშიაც მოუხდენიათ უსაქნაროდ დარჩენილს მუშა ხალხს. Iანვრის 29-ს რამდენიმე ასი კაცი შეკრებულა და ერთი წყება ამათგან მისდგომია მინისტრთ რჩევის თავს-მჯდომარის სადგომს. სამოქალაქო გუბერნატორის ხვეწნას, რომ დამშვიდებულიყვნენ, მუშებმა პატივი არ დასდეს და გაემართნენ პოლიციის პრეფექტურისაკენ და შემდეგ მეფის სასახლისკენ. ბოლოს პოლიცია იძულებრლი შეიქმნა გარეოდა არეულობაში და დაატუსაღა კიდეც 40 კაცი, რომელთაგან უმრავლესობა შეიარაღებული აღმოჩენილიყო. ამ არეულებამ გამოიწვია პალატის არა ჩვეულებრივი სხდომანი, რომელზედაც ერთის ოპოზიციის დეპუტატის საპასუხოდ ახსნა პალატამ, რომ იგი მუნიციპალიტეტის დახმარებით მუდამ ზრუნავდა, ეშოვნა რამ საქნარი მუშებისათვის და უსაქნაროდ დარჩენილთ-კი გზავნიდა ხოლმე თავ-თავიანთ სამშობლოში.

ამ ჟამად მუნიციპალიტეტს აუჩენია რამდენიმე ასი მუშისათვის საქნარი.

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

თებერვლის 9 ს

ლონდონი. ტაიმსში სწერია ჯერ კიდევ დასამტკიცებელი ამბავი; ვითომც რუსები გერათის გზით უახლოვდებოდენ პენჯებს.

ფიც-მორისმა წარმოსთქვა საზოგადოებათა პალატაში, რომ რუსეთმა პასუხი არ აგო პულჩხატუმის დაცლის წინადადებაზეო, მაგრამ ფიცმორისს არაფერი უთქვამს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც არის ინგლისისა და რუსეთის შორის ავღანის სასაზღვრო კომისიის შესახებ. გროსმა სთქვა: რადგანაც რუსეთს არა ერთ-გზის გამოუცხადებია რომ ავღანისტანი ჩემი გავლენის გარეშეაო, მე არ მგონია, რომ რუსთა მსვლელობა გერათი-

საქმე მართალი იყოს. ამ ქამად ჰერათი უწირავს მრავალ რიცხოვანს მეციხოვნე ჯარს და, მაშასადამე, მისი დაპყრობის მეცადინეობას მეტად საყურადღებო შედეგი დაჰყვება.

ქაირი. ჯერს ბიულერისას, რომელიც დაინიშნა მოკლულ სტიუარტის მაგიერ, თავს დაესხა მახდის ჯარი, მაგრამ ინგლისელებმა უკუ-აქციეს.

თებერვლის 10-ს.

პეტერბურგი. გუშინ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ნიკოლაევის თავმჯდომარეობით გამართული იყო რჩევა დაინტერესებულ უწყებათა თანამდებობის პირების, დაინტერესებულ ნავთსხნობის საზოგადოებათა დირექტორების და მოსკოვისა და პეტერბურგის ჩაის ვაჭართა იმ საგნის განსახილველად, თუ რა შედეგი ექნება რუსეთის და ჩინეთის შორის ვაჭრობისათვის ჩაიზე ბაჟის მომატებას. ბაჟის შედეგი წარედგინება ფინანსთა მინისტრს.

გუშინ საღამოს ჩამოიქცა მთლად ხეთ სართულიანი ფერეიდი (ფლიგელი) ვიაზემსკის სახლისა მჭირის გადასახვევ—ქუჩაზე. დაიღუპა რამდენიმე კაცი, მაგრამ რამდენი იმსხვერპლა ამ ჩამოქცევამ, ნამდვილად ჯერ არ იციან. საპირები ერთგულად მეშობენ ჩამოქცევის სინათლეზე; ჯერ-ჯერობით ამოთხარეს ერთი ქალის გვამი და რამდენიმე დაჭრილი. ხელმწიფე იმპერატორი დაესწრო ამ კატასტროფის ადგილს.

ბერლინი. რეიხსტაგმა შეხუნა ღვინოების ბაჟი ასწია 48 მარკიდან 80 მარკამდე და ფქვილეულობისა კი 5-დან $7\frac{1}{2}$ მარკამდე.

ქაირი. ეგვიპტის მმართებლობას შეატყობინეს ლონდონიდან, რომ ინგლისის მმართებლობა შეთანხმდა სახელმწიფოებთან ეგვიპტის საფინანსო საქმეთა შესახებ.

მოსკოვი. აქსაკოვის ავადმყოფობის გამო, გაზეთის „რუსის" გამოცემა ენკენისთვემდის იქნება შეჩერებული.

პარიჟი. გუშინ აქ მოხდა სოციალისტების კრება, რომელზედაც წარმოსთქვეს მკვახე სიტყვები. 15 კაცი დაიჭირეს.

ქაირი. ქედივის დეკრეტით გერმანის საელჩოს ბეგ რინგუ-ჭუოფენი დაინიშნა გერმანიის წარმომადგენლად ეგვიპტის ვალის კასსაში.

თებერვლის 11-ს.

პეტერბურგი. ვიაზემსკის სახლის ჩამოქცევის დროს დაზიანდა 8 მდგმური. რომელთაგან ორი მოკვდა, ორი დასახიჩრებულია და დანარჩენები მცირედ გაკაწრულნი არიან. დაზიანებულთა მცირე რიცხვი იმას მიეწერება, რომ უბედურების წამს მდგომარეთა უმეტესი ნაწილი სამუშაოზე იყვნენ. ერთი ბავშვი ოცდა სამი საათის განმავლობაში ნამგრევების ქვეშ იყო და მხოლოდ მცირედ დაშავდა.

მასოვა. კაპიტანი ჭერარი იტალიიდან ელჩად მიდის აბისინიაში და თან მიაქვს საჩუქრები და წერილი მეფე ჰუმბერტისა აბისინიის მეფესთან.

ათინა. დელიანისმა უარი სთქვა ახალ-კაბინეტის შედგენაზე და ეს საქმე ტრიკუპისს მიენდო.

## ,,დროების" ფოსტა.

ქრთაისს. ალ. ჯ—ძეს. რედაქციას არავითარი ტელეგრამა არ მიუღია ქ. ი. ჯალ—მისათვის პანაშვიდის გადახდაზე, თორემ დაუყოვნებლივ დაუთმობდა ადგილს მას ,,დროებაში".

პეპელას. თქვენი ,,სოსტატო" არ დაიბეჭდება. თქვენი გვარი და სახელი შეგვატყობინეთ ხოლმე, როცა კვლავ წერილს მოიწერებით რედაქციაში.

# განცხადებანი

### ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირ..ს საბანი, სტაქნები, სუფრის ნაჭრები, საწური, სკები, რიუმკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პროპკის ამოსაღები, პროპკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ჭაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩუქლები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ქმალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ზამაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—2)

### გაყიდვა 5% სახელმწიფო მოგები ბილეთებისა

ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ბილეთები იყიდება ს. პეტერბურგის ბირჟის ოფიციალურ ფასად; ყიდვის დროს უნდა შემოტანილ იქმნას 20 მან. ბილეთზე, დანარჩენი ფულიკი უნდა შემოიტანოს მყიდველმა თვე-და-თვე, როგორც თვითონ განსაზღვრავს — თითო თუმნობით, თუ ხუთ-ხუთ მანათობით. ვადაზე შემოსატანი გადასახადის დამგვიანებელს ეძლევა კიდევ 30 დღე საშეღავათოდ. ბეის შეცემის დღიდან ყოველივე მოგება, რომელიც ხვდება ნაყიდს ბილეთს, სრულიად ეკუთვნის მყიდველს. კანტორის სასარგებლოდ არაფერი არ გამოერიცხება მოგებს. ბილეთის მყიდველს ეკუთვნის აგრეთვე ყოველივე მოსალოდნელი საკურსო ფასის მომატება ბილეთზე. მოგების ტირაჟი არის ხოლმე: პირველი სესხის ბილეთებისა — იანვრის 2-ს და ივლისის 1-ს; მეორე სესხის ბილეთებისა მარტის 1-ს და ენკენისთვის 1-ს ყოველ-წლივ შემდეგის პლანით: ერთი მოგება არის 200,000 მანათიანი, ერთი 75,000 მან., ერთი 40,000 მანათიანი, ერთი 25,000 მანათიანი, სამი 10,000 მან., ხუთი 8,000 მან. რვა 5,000 მან. ოცი 1000 მან. და ორას სამოცი 500 მანათიანი. მომგები ბილეთის დაზღვევა რომ ტირაჟში არ გამოვიდეს ღირს — ათი შაური ბილეთზე. აგენტი ს. პეტერბურგის ბანკირის ფ. ა. კლიმის კანტორისა: ი. ქ. საულიდი ბათუმში.

ქვემო-ხსენებული კანტორა ამით ამოწმებს, რომ აგენტი ი. ქ. საულიდს

მინდობილი აქვს ჰყიდოს კანტორის სახელით ხვედრი ფულის დაცალებით 5% სახელმწიფო მომგები ბილეთები ორთავე სესხისა, აგრეთვე მიიღოს ისინი დასაზღვევად ტირაჟში გამოსვლიდან, თანახმად კანტორისაგან მიცემულის ვექილობისა.

ბანკირის კანტორა ფ. ა. კლიმისა ს. პეტერბურგში.

(10—3)

### სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება თბილისში კრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—6)

### რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. შრიჭინებს, პრუსაკებს, ბალინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ ,,რამაშკა ბურელის" ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ—კავკასიისათვის არის თბილისში ,,კავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს.

(25—13) П 19,485